

ვეთიკონის ბიზნისი

მართაობრივო მენეჯმენტული და მენეჯმენტული
მენეჯმენტული-პრაქტიკული ჟურნალი

1591 / 2
2012

№2, 2012 წელი

მენეჯმენტული პოლიტიკა (მთავრობის,
ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

დასახადები, გულაღტრული აღრიცხვა,
ფილიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

ბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი,
ანაბრე)

ბანკმდებლო სიასლენი (სამეწარმეო
მართაობა), კომენტარები

მართაობა კითხვები და პროფესიონალთა
სწავლები





**ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"
რევიტირდება:**

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რევიტირებულ ჟურნალში".

აღიარებულია რევიტირებულია:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ასტანა, ყაზახეთი).

ტექნიკური პერსონალი:
მარკეტინგი: რუსუდან მამსურაძე

მისამართი: 0105, საქართველო, თბილისი ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: info@economisti.ge; info@loi.ge
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) IS REVIEWED:

In "Georgian Reviewed Magazine" - P.L.L.E. Institute of Techninform

IS KNOWN AS REVIEW BY:

- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Iliia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia; (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economics, Finances and International Trade (Astana, Kazakhstan).

TECHNICAL PERSONS:
Marketing: RUSUDAN MAISURADZE

ADDRESS: 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: info@economisti.ge; info@loi.ge
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

საქართველოს ეკონომისტი

საქართველოს
ეკონომისტი

ყოველკვარტალური სამართაშრომის რეჟიმის რეგისტრირებული და რეგისტრირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული შურობი №2(25), 2012

ლორე ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.

სარედაქციო კოლეგია:

შეცნეურებათა დოქტორები, პროფესორები:

აბაში ხელაბი - ნომრის რედაქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

რამაზ აბუსაძე, ანატოლი აბრამოვი; იური
ანანიავილი; როზაბა ასათიანი; ვსენი
ბარათაშვილი; ვლადიმერ ბატალიშვილი;
როსტომ ბერიძე (საბა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დირექტორი); მიხა
ბანისაშვილი; თამარ ბანისაშვილი; თინა
ბელაშვილი (ახალციხის სახელმწიფო სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი); სიმონ ბელაშვილი;
რეზა ბელიშვილი (ეკონომიკური პოლიტიკისა და
ეკონომიკური განვითარების ქართულ-ღერმანული ინსტიტუტის
დირექტორი); მიხეილ ბობატიშვილი; რეზა
ბობატიშვილი (გურნალ ეკონომიკისა და ბიზნესის მთავარი
რედაქტორი); ვლადიმერ ბობატიშვილი (საქსოფო,
რეგიონის ფილიალი); ვოლგანა ვენეტი (მერლინი,
გერმანია); ვიტა ვსუპანიძე, ნუზარ თორაძე;
ნორა თუთიაშვილი; სერგეი იაკოვლევი
(ოფისის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ვლადიმერ
ილიაშვილი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის
ინსტიტუტის დირექტორი, ახვრებიანის ბანკების
ასოციაციის პრეზიდენტი); რეზა კახელიანი;
მირა კახელიანი; ნინო კახელიანი; შრომა
კვიციანი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრეიდ
რობაქიის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და
მართვის სკოლის დეკანი); ვსენი კიკელიანი;
ირაკლი კოჭინაძე; ანა კოჭინაძე (კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); ვსენი
კოჭინაძე (საქართველოს სოფლის მეურნეობის
შეცნეურებათა აკადემიის წევრი); ვიტა კონი
(ბრანდენბურგი, გერმანია); ვსენი ლავროვი;
ვახაგ შანსიანი (ახვრებიანის სახელმწიფო
ეკონომიკური უნივერსიტეტის კონსტრუქციული ფაკულტეტის
დეკანი); ვლადიმერ შანსიანი (კავკასიის
უნივერსიტეტის ფიზიკურ-დირექტორი); იაკოვ მიხეილი;
ვლადიმერ მიხეილიანი; თინა მიხეილიანი;
დავით ნაბიანი; თამარ ნაბიანი; სოლომი

ამალიაშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი); იური რობაქიანი (ოფისი, უკრაინა);
ვსენი საბათიანი (საქართველოს საბატონო
წესად ადრისი პირველადი სახელობის ქართული
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის
ფაკულტეტის დეკანი); თამარ სარაშვილი;
ვსენიანი (საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის წევრი-კორესპონდენტი);
ალექსანდრე ხვინაძე (გურნალ „ბიზნეს-
ინფორმაციის“ მთავარი რედაქტორი); ვლადიმერ
სვინაძე; დავით ტორაძე (კახეთის
რესპუბლიკის ესეკონომიკური შეცნეურებათა აკადემიის
დეკანი); ვსენიანი (გერმანია); ვსენიანი და
საერთაშორისო ვაჭრობის უნივერსიტეტი, ვსენიანი
რესპუბლიკა); მიხეილ ტუშაშვილი; სლავა
შხეილაძე; რუსუდანი შოთაშვილი
(საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტის ბიზნეს-
ინფორმაციის ფაკულტეტის დეკანი); ვლადიმერ
ყოჩიაშვილი; თამარ შანსიანი;
მიხეილ შანსიანი; ვსენი შუღლიანი
(ვსენიანი რესპუბლიკა); ვლადიმერ
(გურნალ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის მართვის სამსახურის უფროსი); მიხეილ
ჩიქოლიანი; ვსენი ჩიქოლიანი (საქართველოს
შეცნეურებათა ეროვნული აკადემიის წევრი-
კორესპონდენტი); ნორა ჩიქოლიანი; ანათოლი
ჩოქიაშვილი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
მთავარი); აბაში ციციანი; ნორა ხაჭაძე,
თინა ხაჭაძე; თამარ ხაჭაძე,
რამაზ ხაჭაძე; მირა ხაჭაძე; დავით
ხაჭაძე (საქსოფის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი);
ხაჭაძე ხანჯალიანი (მთავარი რედაქტორის
მთავარი); მსხარე ხაჭაძე (გურნალ
„საქართველოს ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი);
მიხეილ ჯიბუტი; ნინო ჯიბუტი.

საქართველოს ეკონომისტი

შეიქმნება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© გურნალი „სახელი ეკონომისტი“, 2012 წ.
© გამომცემლობა „ლორე“
№2(25), 2012 წელი

წახი 5 ლარი



akhali EKONOMISTI



QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED №2(25), 2012

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial board,
Doctor of Business Administration, Associated Professor of Caucasus International University

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

AKAKI KHIELADZE - Editor

(Dean of Economics and Business Faculty of I. Javakishvili Tbilisi State University)

RAMAZ ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; EVGENI BARATASHVILI; ELBERT BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE (Director of Business School of Shota Rustaveli State University); **GIVI GAMSAKHURDIA; TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI** (Rector of Akhaltsikhe State University); **SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI** (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); **MICHAEL GOGATISHVILI; REVAZ GOGOKHIA** (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business“); **VLADIMIR GRIGOLAIA** (Moscow, Russian Federation); **WOLFGANG WENG** (Berlin, Germany); **SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY** (Odessa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); **ELDAR ISMAILOV** (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); **REVAZ KAKULIA; MERAB KAKULIA; GIAKVASHILAVA; MURTAZ KVIKVAIA** (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management School of G. Robakidze University); **VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAI** (Rector of Caucasus International University); **PAATA KOGUASHVILI** (member of Georgian Academy of Agriculture); **HARALD KUNZ** (Brandenburg, Germany); **ENVER LAGVILAVA; QABIL MANAFOV** (Dean of Commerc Faculty of Azerbaijan State Economical University); **SHALVA MACHAVARIANI** (Vice-President of Caucasus University in sciences field); **IAKOB MESKHIA; ELGUJA MEQVABISHVILI; TEA MUNJISHVILI; DAVID NARMANIA; TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI** (Rector of Tbilisi University); **YURIY**

ROBUL (Odessa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); **VAKHTANG SARTANIA** (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); **ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science); **ALEKSANDRE SICHINAVA** (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering“); **GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA** (Academician of Aesthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); **MIRIAN TUKHASHVILI; SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE** (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); **LARISA KORGANASHVILI; TEMURSHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI** (Lecturer of Tbilisi Academy and Seminary); **FAIA SHULENBAYEVA** (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); **LALI CHAGELISHVILI** (Head of Department of Degree of Guram Tavartkiladze University); **MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science); **NIKO CHIKHILADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI** (Deputy of Rector of Iv. Javakishvili Tbilisi State University); **AKAKI TSOBALA; NODAR KHADURI; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA** (Dean of Economics and Business Faculty of Sukhumi State University); **JAMLET JANJGAVA** (Deputy of Editor-in-Chief); **EMZAR JGERENAIA** (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia“); **MICHAEL JIBUTI, NANA JGARKAVA.**

მეორე-დაიჯესტი

მეცნიერება

საგა უბრალოდ, საგა გობიანობი - კონკურენტი კონომიკური აგენტების შეთანხმებები 7

თაგა კუნულოა, პატატა კოლუაზიობი - რამდენად რეალურია სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია 11

ნანა კაციტაძე - საქართველო ხაერთაშორისო ტურიზმის ბაზარზე 15

ნონო უარესაზიობი - პროექტი და მისი თანამდევი რისკის პრევენციის რიგი საკითხები ... 20

ღია ბობიანობი - საქონლის და მომსახურეობის კლასიფიკაცია სამრეწველო მარკეტინგში ... 24

თაგარ ბობიან, ნონო მატანატრია, ლიკა ბობიან - საქონლის და მომსახურეობის კლასიფიკაცია სამრეწველო მარკეტინგში 27

თიმიშტას უნებლია, ლორი მარნაზა - ბიზნესისა და მეწარმეობის წარმოშობა და განვითარება .. 32

ნონო აბესაძე - სამომხმარებლო ფაქტების ინდექსის პროგნოზირების საკითხები საქართველოში ... 36

ანსორ თოთაძე, ჯამალტ ჯანჯღაზა - იმერეთის დემოგრაფიული განვითარება 43

მეღია ლომინაზიობი-ფრუბიან - გადასახადების და ბუღალტრული აღრიცხვის გამოჯენის და კონსოლიდაციის საკითხისათვის 46

რათი აბულაძე - ელექტრონული მთავრობა და ბიუროკრატია 51

მალსაზა უარცვანია - ფუნდამენტალური ანალიზი: არსი, სპეციფიკა, გამოყენების საჭიროება .. 54

ბიორბი ბაზრინაზიობი - სახელმწიფო შესყიდვების ეკონომიკური პოლიტიკის ევოლუცია საქართველოში 57

მირიან ნაჩაბა - ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის შესახებ 63

თიმიშტას გობიან - ელექტრონული ფორმით ტენდერების ჩატარების სრულყოფის საკითხისათვის 66

БОРИС СОКОЛОВ – ВОЙНА И ДЕНЬГИ 72

ВЯЧЕСЛАВ ПЕРЕПЕЛКИН – СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ РОССИЙСКОЙ, БЕЛОРУССКОЙ И МЕЖДУНАРОДНОЙ МЕТОДОЛОГИИ РАЗДЕЛЕНИЯ ЭКОНОМИКИ НА СЕКТОРЫ .. 82

საგარეო ურთიერთობების სამსახური

სტუდენტური ხელვა

სალომი ახვლედიანი - საქართველოს კონკურენტუნარიანობის შეფასება გლობალურ კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით 88

თაგია უბრალოდ, ცირა მანსანა, სოსო პარცომეძო - საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემა 92

ახალი წიგნები 97

უცხოეთის ეკონომიკური სიანსენი 98

რეფერატები 100



ECO-DIGEST

 საქართველოს
 ეკონომიკისა და
 სტატისტიკის ეროვნული ცენტრი

SCIENCE

Slava Fetelava, Shalva Gogiasvili - Agreements of competitor economical agents	7
Tamaz Kunchulia, Paata Koguashvili - How Really New Strategy of Agriculture Development	11
Nana Kacitadze - Georgia in the international market of tourism	15
Nino Paresashvili - The Project and Number of Issues on Prevention of Concomitant Risks	20
Lia Berikashvili - Classification of Goods and Services in Business Marketing	24
Tamar Beridze, Nino Maqatsaria, Lika Beridze - Audit of Financial Results	27
Theimuraz Shengelia, Loid Karchava - Appearance and Development of Business and Entrepreneurship	32
Nino Abesadze - For ecasting Consumer Price Index in Georgia	36
Anzor Titadze, Jamlet Janjgava - Demographic Development of Imereti Region	43
Medea Lominashvili-Frudze - The Question of Demarcation Between Tax and Accounting Bookkeeping and its Consolidation	46
Rati Abuladze - E-government and Bureaucracy	51
Malkhaz Partsvania - Fundamental Analysis; Definition, Specification and Utilization	54
Giorgi Gaprindashvili - Evolution of State Procurement Economic Policy in Georgia	57
Mirian Chachava - On State Regulation Necessity for Economy	63
Teimuraz Gognadze - For the Issue of the Improvement of Conducting the Tenders Through the Electronic form ..	66
Boris Sokolov - War and Money	72
Viacheslav Perepelkin - Comparative Analysis of the Russian, Belorussian And International Methodologies of The Division of Sectors	77

STUDENT'S LOOK

Salome Akhvediani - Assessment of Georgian Competitiveness Based on Global Indexes of Competitiveness	88
Tamta Fetelava, Tsira Maisaia, Soso Parkhomenko - Taxation System of Georgia and Foreign Countries	92

NEW BOOKS

FOREIGN ECONOMIC NEWS

SUMMARIES

ეკონომიკური

საბაღასახადო კომპლექსის განმარტებები ურთო ხელმისაწვდომი მახაზა

საქართველოს შემოსავლების სამსახურისა და სსიპ „საქართველოს მშენებელი მშენებელი“ ერთობლივი პროექტის (საქართველოს საგადასახადო კოდექსის განმარტებები) ფარგლებში, სსიპ-ის ვებ-გვერდზე შესაძლებელი გახდა საგადასახადო კოდექსის განსაზღვრული მუხლების კომენტარებისა და საჭირო დოკუმენტების მოზიება. შემოსავლების სამსახურის უფროს ჯაბა ებანიძის განმარტებით, ბიზნესის წარმომადგენლებს ხშირად შეეძლო პროექტის საგადასახადო კოდექსის ცალკეული მუხლების არავითარგან განმარტებაზე.

საპატრო ბრუნვა 18%-ით გაიზარდა

საქართველოს საგარეო საეკონომიკური ბრუნვა 2012 წლის იანვარ-აპრილის წინასწარი მონაცემებით, \$3,124 მლრდი შეადგინა, რაც 18%-ით მეტია, წინა 2011 წლის იანვარ-აპრილთან შედარებით. „ექსპრესი“ ცნობით, მთლიან საეკონომიკურ ბრუნვაში ექსპორტი \$726 მლნ-ს, ხოლო იმპორტი - \$2,397 მლრდ-ს შეადგენს. ამასთან, ექსპორტი წილი მაშინავე წელს 20%-ით არის გაზრდილი, თუმცა საეკონომიკური ბალანსი მაინც უარყოფითი რჩება და ის ამ პერიოდისათვის \$1,671 მლრდ-ს შეადგენს.

საზღვარგარეთიდან გზავნილობის მოცულობა იზარდა

წელს მარტში ქვეყანაში \$108 მილიონი გზავნილი შემოვიდა, რაც მარტთან შედარებით \$5 მილიონით მეტია. წლის დასაწყისიდან კი გზავნილების მოცულობა \$24 მილიონით არის გაზრდილი. გადამრიცხვების დიდერი კვლავ რუსეთია - \$56 მილიონით. სამუელში შევიდა სპორტის (S12 მილიონი) და ინტელი (S10 მილიონი).

საპარტნიორო კონკურენცია გაიზარდა რეგისტრაციის განმარტებით შეამოწმა

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიმდინარე წლის 23 მაისს რეგისტრაციის განმარტებით 25 საბაზის პუნქტით შეამოწმა და 6% შეადგინა. სებ-ის პროგნოზით, თვისობრივ წესდებულ ინფლაცია ზომიერ სრდას დაიწყებს, თუმცა მიზნობრივ ინფლაციას დაბალი დონეზე რეგულირება წელიწადს,

ისე მოხვედრის წლის დასაწყისშიც. აპრილში ფლოურმა ინფლაციამ - 2,2% შეადგინა.

ამერიკული პატენტო მართულ პროცესების

საქართველომ აშშ-ში ქართული დვინის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის პირველი ეტაპი დაასრულა. „საქპატენტო“-ს ცნობით, ამერიკის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყებამ დამკვეთი დოკუმენტები თორმეტი დასახელების ქართული დვინის სახელი - „სხანგკარა“, „ქინამარაული“, „სინანადლი“, „ახაშინი“, „ყვარელი“, „მანავი“, „თელიანი“, „გურჯაანი“, „კახური“, „მეფეხანი“, „ტეფი“, „ვახიშვიანი“, უახლოეს თვეებში დასრულდება დანარჩენი ექვსი დასახელების რეგისტრაცია. ამით საქართველოს სახელმწიფოს ექნება განსაკუთრებული უფლება, განსაზღვროს აშშ-ის ტერიტორიაზე ქართული დვინის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე პირები და აკრძალოს დასახელების უკანონო გამოყენება.

მიღებულ იქნა კონკურენციის ახალი კანონი

საქართველოს პარლამენტმა მიიღო და საქართველოს პრეზიდენტმა 2012 წლის 8 მაისს მოაწერა ხელი კონკურენციის ახალი ჩარჩო კანონი - „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“. აღნიშნული კანონი გამოქვეყნდა 2012 წლის 25 მაისს და ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

კონკურენციის ახალი ჩარჩო კანონის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. ის მოიცავს ეკონომიკის ყველა სფეროს, რაც მეტად მნიშვნელოვანია. ამასთან, კანონით არის განსაზღვრული გარკვეული გარდამავალი პერიოდი კომუნიკაციებისა და ენერჯეტიკის სფეროში. კერძოდ, - ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე და კონკურენციის შემზღვეველ ხელშეკრულებებზე გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებულ შედეგებზე სხვადასხვადასხვა მხრივ 2016 წლის 1 იანვრიდან. ასევე, ამ კანონის რეგულირების სფეროში შეიქმნება ენერჯეტიკისა და, ბუნებრივი გაზის

საქართველოს



სფეროში დადებულ ხელშეკრულებები და გადაწყვეტილებები მხოლოდ 2018 წლის 31 დეკემბრის შემდეგ.

მომავლთა რემსტრი 30%-ით გაიზარდა

2012 წლის 2 აპრილის მონაცემებით, მოვალეთა რეესტრში 61700 ადამიანია რეგისტრირებული. ერთ წელიწადში ეს მაჩვენებელი 30%-ით გაიზარდა - 2011 წლის აპრილის დახვეწისათვის. მოვალეთა რეესტრში რეესტრირებულია რაოდენობა 47 835-ს შეადგენდა. რეესტრის მონაცემები სწრაფად იცვლება მასში ახალი პირების რეგისტრაციისა და რეესტრიდან მოვალეების ამორიცხვის შედეგად.

შპრპი მონების ბაზრზე ფასები მცნა

უძრავი ქონების ბაზარი ვარდნას განაგრძობს. ექსპერტთა აზრით ამ ვარდნის რამდენიმე მიზეზი არსებობს: ძვალადი მსყიდველობითი უნარი, 2)საბანკო ხესხის გაყვამის სირთულე, 3)მაღალი საბროკერტო განაკვეთი და 4)პოლიტიკური ვითარება. უძრავი ქონების სააგენტოს მონაცემებით, შარსან გაყიდვა 30%-ით შემცირდა და კლება წლებულსაც გრძელდება, თუმცა ბიზნეს ფასები თითქმის არ იცვლება. „ახალი მშენებლობების კვლევა - ფასების ანალიზი“ წარმოადგინა „ილიაუნი ბიზნეს რევიუ“, რომლის ფარგლებში 39 სამშენებლო კომპანია შეისწავლეს. თბილისში პირველად საცხოვრებელ ფართზე ყველაზე მაღალი ფასი (ე.წ. თეთრი კარკასი) ავლაბარშია (\$3000 1 კვ.მ-ზე), ყველაზე დაბალი ფასი კი თბილისშია (\$480 1 კვ.მ-ზე). ახალი მშენებლობების ყველაზე დიდი არჩევანი საბურთალოსზეა, ყველაზე მცირე - შთაწმინდა-კრწანისის რაიონში.

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე კრიტიკა

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე კრიტიკა, სოლო ქართული საბანკო სექტორი ეკონომიკის ხარჯზე იზრდება, - ნათქვამია „ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ კვლევაში. 19 ბანკი საქართველოს შიშის ქვეყნისათვის საკმაოდ დიდი რიცხვია, მაგრამ კონსერვაციის ხარისხი მაინც დაბალია. საკრედიტო რესურსის სიჭიროთ საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერია და მსოფლიო ბანკის მონაცემებით (2010), კრედიტებზე საბროკერტო განაკვეთები საქართველოზე მაღალი მხოლოდ 7 ქვეყანაშია. საშუალო შეწონილი განაკვეთი საქართველოში ხესტებზე 24,2%-ია, ხოლო რსკის პრემიის საშუალო მაჩვენებელი -

14,7%. მეზობელ სომხეთში ეს მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში 15-44%-ს ფარგლებში მერყეობს. საქართველოში ბანკების მიერ გაცემულ მოლოანი კრედიტები მშპ-ის 33,8%-ია, ავსტრიაში - 137%, ბელგიაში - 117,1%, ბულგარეთში 7%, დანიაში - 216,8%, თურქეთში - 69,3%, უკრაინაში - 78,6%. კრედიტების სიჭიროთ გამო ქართულ კომპანიებს მხოლოდ 40% მიმართავს ბანკები ფინანსური სახელაღებების მოსაპოვებლად.

საქართველოს მსოფლიოში პოტენციალი

ინოვაციური პოტენციალის დონა, საქართველო 142 ქვეყანას შორის 118-ე პოზიციაზე, თუმცა შარსანდელთან შედარებით მდგომარეობა 7 საფეხურით აქვს გაუმჯობესებული. 2011-2012 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ (Global Competitiveness Index) ანგარიშში საქართველო მეზობელ ქვეყნებს შორის ბოლო ადგილზეა. აზერბაიჯანი მე-60 ადგილზე, თურქეთი 69-ზე, რუსეთი -71-ზე, უკრაინა - 74-ზე, სომხეთი კ 112-ზე. ინდექსი ყოველწლიურად ითვლება დღის ეკონომიკური ფორუმის ფეხუფის მიერ. მაშინავე კვლევისას 142 ქვეყნის 14 ათასამდე მაღალი რანგის ბიზნესმენი გამოიკითხა.

აზტომობილების რაოდენობა საქართველოში

კვლევითი სააგენტო „ავტოსტატის“ რეიტინგით, რომელსაც შეფასებულია 100 ქვეყანა 1000 სულ მოსახლეზე ავტომობილების რაოდენობის მიხედვით, საქართველოში 2011 წლისათვის 750 ათასი ავტოსატრანსპორტი ხაშუალება იყო რეგისტრირებული, ანუ სოფელ 1000 ადამიანზე 171 ავტომობილი მოდიოდა. რეიტინგის მიხედვით, ლიტვაში ეს მაჩვენებელი 555-ია, ესტონეთში - 471, ლატვიაში - 459, რუსეთში - 271, ყაზახეთში - 199, უკრაინაში - 161, მოლდავეთში - 146 და აზერბაიჯანში - 104 რეიტინგის ლიდერი მონაკია, სადაც 1000 ადამიანზე 908 ავტომობილი მოდის, მეორე ადგილზე აშშ-ში 802 ავტომობილი. მას მოსდევენ ისლანდია, ლუქსემბურგი, ახალი ზელანდია და სხვ. ჩინეთი რეიტინგში 86-ეა, იქ ყოველ 1000 კაცზე 47 ავტომობილი მოდის.

„ეკო-დაიჯესტი“ ქართულ ეურნალ-გაზეთებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა **თამაზა შატალაშვილმა**

ახალი მსოფლიო



სლავა ვატიშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი



შალვა გომიაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებებს, რომელსაც პორიზონტალურ შეთანხმებებს უწოდებენ, შეუძლია შეამციროს, გამორიცხოს ან გააძლიეროს კონკურენცია მაგალითად, შეთანხმებები ფასების ან მოცულობის დანაწილების შესახებ, ამცირებენ კონკურენციას. ამიტომ, რეგულაციების კანონმდებლობით, ასეთი „შეზღუდავი“ შეთანხმებები სერიოზულ დანაშაულად ითვლება და სამართლებრივ დევნას ექვემდებარება. თუმცა ცალკეულ შეთანხმებებს შეუძლიათ ამაღლონ კონკურენციის უწყვეტობა მაგალითად, კონკურენტებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ერთობლივ ინვესტიციებზე ან კვლევებზე, რომელთა განხორციელებასაც ცალკე ვერ შეუძლებდნენ ასეთი შეთანხმება საწარმოს ხარჯების შემცირებას იწვევს.

ზოგადად ტერმინი „პორიზონტალური შეთანხმება“ მოიცავს შეთანხმებებს ფაქტიურ და პოტენციურ კონკურენტებს შორის. იმისათვის, რომ საწარმოები ერთმანეთის კონკურენტებად ჩაითვალოს, ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებელი მიწოდებლები ან - დამოუკიდებელი მყიდველები ერთსა და იმავე ბაზარზე (ერთი საწარმო არის მეორე საწარმოს პოტენციური კონკურენტი, თუ მას განზრახული აქვს შეიღაცე გასახიფტეოდ ბაზარზე, სადაც მეორე საწარმო უკვე მოქმედებს როგორც მიწოდებელი). აქედან გამომდინარე, პორიზონტალური შეთანხმებების ანალიზი იწვევს განსახიფტეოდ ბაზრების მონიშვნით. თუ ორი საწარმო სხვადასხვა ბაზრებზე მოქმედებს როგორც მიწოდებელი ისე, რომ არც ერთს არ აქვს მეორე ბაზარზე შესვლის სურვილი, მაშინ ეს საწარმოები არ წარმოადგენენ არც ფაქტიურ და არც პოტენციურ კონკურენტებს. მათ შორის დადებული შეთანხმებები ვერ იქნება პორიზონტალური.

შესაბამისად, ბაზრის მონიშვნის პროცესში პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს როგორც ფაქტიური, ისე პოტენციური კონკურენტების დადგენა. აქვე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პოტენციურ კონკურენტთან შეთანხმების ნეგატიური ეფექტი, რომელიც შეიძლება იყოს ორი ტიპის: უცდარი ნეგატიური ეფექტი წარმოიშობა იმის გამო, რომ პოტენციური პარტნიორის ბაზარზე შესვლის საფრთხე გაუელანს ახდენს ფაქტიური მიწოდებლების ქცევაზე. თუ ასეთი საფრთხე თავიდანაა აღიარებული პორიზონტალური შეთანხმებით, მაშინ ფაქტიურ მიწოდებლებს დამატებითი სიერცე შეექმნება ანტიკონკურენტული ქცევისათვის. პოტენციურ კონკურენტთან შეთანხმების მუდმივ ნეგატიური ეფექტი ნდვება მაშინ, თუ შეთანხმება ბაზარზე შესვლისას დაბრკოლებებს უქმნის ახალ კომპანიას, რომელიც შევიდოდა ბაზარზე ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში.

ამასთან, ზოგიერთი პორიზონტალური შეთანხმება უარყოფით ზეგავლენას ახდენს კონკურენციაზე და არაა ხაზარგებლო მყიდველებისათვის. ასეთ შეთანხმებებს მიეკუთვნება შეთანხმებები:

- ✓ ფასებზე ტარიფებზე, შეღავათებსა და ნებისმიერ სხვა ხარჯებზე;
- ✓ აუქციონის ფასებზე (ცარდა ფასების ერთობლივი შეთავაზებისა, რომელიც შეთავაზება ეაჭრობის ვაგრძელების მხურველ მხარეს);
- ✓ წარმოების მოცულობაზე;
- ✓ ბაზრის გაყოფაზე - ტერიტორიის, საიონდის, მყიდველების და სხვა ფაქტორების მიხედვით;

ახალი ეკონომიკა



✓ ეკონომიკური აგენტების) ბაზრიდან „ადაქვეებაზე“ დაან ბაზარზე შესვლის სხვაგვარ შესუღვდაზე;

✓ კონკრეტულ მიდგეველებთან ან გამიდეველებთან კონტრაქტების დადეების შესუღვდაზე (ურზე).

არსებობს ისეთი შეთანხმებებიც, რომლებიც ერთდროულად ახდენენ როგორც კონკურენციის ხელშეწყობას, ისე ანტიკონკურენციულ სემოქმედებას. შესაბამისად აუცილებელია მათი გაანალიზება თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის. ასეთი მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს შედეგი პორიზონტალური შეთანხმებების მიმართ:

- ✓ ბაზარზე საქონლის გატანის, მარკირების, სხვა სტანდარტების შესახებ;
- ✓ ერთობლივი ან შესუღვდული რეკლამის ან საბაზრო წახადისების შესახებ;
- ✓ კადრების ერთობლივი მომზადების შესახებ;
- ✓ განსაზღვრული ინფორმაციის გაცეცის შესახებ;
- ✓ სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევებისა და დამუშავებების შესახებ.

ანტიკონკურენციული ქცევის ტიპებს, რომლებიც შესაძლოა ამ ტიპის პორიზონტალური შეთანხმებების შედეგს წარმოადგენდეს, მიეკუთვნება კონკურენტების მოშორება ბაზრიდან (მაგალითად, რეკლამის სტანდარტებისა და შესუღვდების განსაზღვრის გზით).

ასევე შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შეთანხმებებს, რომლებიც ეხება - ინფორმაციის გაცეცას, სამეცნიერო-ტექნიკურ გამოკვლევებს და დამუშავებებს.

ზოგიერთი შეთანხმება ძალზე განსაზღვრულადაა ინტერპრეტირებული სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობებში, რაც განპირობებულია ეკონომიკური მოდელის განსხვავებებით. მათ შორის საინტერესოა შეთანხმებების ისეთი ტიპები, როგორცაა:

➤ „მცირე“ შეთანხმებები

შეთანხმებების კონკურენციული სემოქმედება, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია ბაზრის სტრუქტურაზე და შეთანხმების მონაწილე მხარეთა საბაზრო მდგომარეობაზე, რაც უფრო მეტადაა ბაზარი კონცენტრირებული, ჰყავს მსხვილი გამიდეველების მცირე რაოდენობა, ასევე, რაც უფრო მსხვილ საწარმოებს წარმოადგენენ შეთანხმების მონაწილეები, მით უფრო შესაძლებელია შეთანხმების ანტიკონკურენციული სემოქმედება. მაგალითად, ორ მცირე მიწოდებელს შორის

დადებული შეთანხმება ფასების შესახებ, უფრო ნაკლებ სემოქმედებას ახდენს კიდრეუბიერებზე შეთანხმება მსხვილ მიწოდებელს შორის. ამის მიზეზი ისაა, რომ კონკურენტებს, რომლებიც არ არიან შეთანხმების მონაწილეები, შეუძლია ადვილად „დაანგრონ“ შეთანხმება: მათთვის ბევრად ადვილია გაზარდონ გაყიდვები მცირე მოცულობით. უნდა ითქვას ისიც, რომ თუ კონკურენტები, რომლებიც არ არიან შეთანხმების მონაწილეები, ვერ შეძლებენ თავიანთი გაყიდვების გაფართოებას (შესაძლოა საწარმო სიმძლავრეების ნაკლებობის გამო), მაშინ მცირე მიწოდებელს შორის დადებული შეთანხმებება შეიძლება ანტიკონკურენციული სემოქმედება მოახდინოს ბაზარზე.

➤ კლებადი ბაზარი

ზოგიერთ საწარმოს შეუძლია განაცხადოს, რომ პორიზონტალური შეთანხმებები ვერ ახდენენ სემოქმედებას კლებად ბაზარზე. ზოგიერთი კანონმდებლობა ნებას რთავს ასეთ ბაზარზე მოქმედ საწარმოებს დადონ შეთანხმებები წარმოების მოცულობის განსაზღვრულ ფარგლებში შემცირებაზე. თუმცა, ეს არ გულისხმობს შეთანხმებებს ფასებსა ან მიდეველების დანაწილებაზე.

ამასთან, შეთანხმებები წარმოების მოცულობის შემცირებაზე საეკონომიკურ არ არის, რადგან ყველაზე უფრო ნაკლებეექტურ საწარმოებს შეუძლიათ დატოვონ ასეთი შეთანხმებისაგან თავისუფალი ბაზარი. ამ თვალსაზრისით, შეთანხმებები ექსპურება მხოლოდ ანტიკონკურენციულ მიხედვით. ამ არგუმენტის დოგმა მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილებას წარმოების მოცულობის შესახებ განაპირობებს მონაცემები მომავალი მწარმოებლობისა და ფასების შესახებ. აქედან გამომდინარე, შეთანხმებები წარმოების მოცულობების შესახებ, წარმოადგენენ შეთანხმებებს კონკურენციის ბუნების შესახებ.

➤ იმპორტიორი და ექსპორტიორი კარტელები

პროდუქციის კარტელურ შეთანხმებაში მყოფი იმპორტიორი ეკონომიკური აგენტები ხანის აყენებენ მიდეველებს თავიანთი ქვეყნის შიგნით. ასეთი კარტელები შეიძლება განხილული იქნენ როგორც ფასების ან რაოდენობების შესახებ პორიზონტალური შეთანხმების ნებისმიერი სხვა ტიპი.

რაც შეეხება ექსპორტიორთა კარტელებს, მათ დახასიათება უფრო რთულია. ისინი ანტიკონკურენციულ სემოქმედებას ახდენენ

ახალი პირობები



მხოლოდ (ან უცხოურ) ბაზარზე მხოლოდ მაშინ, თუ ექსპორტიორი კარტელი საქონლის მხოლოდ მიწოდების მნიშვნელოვან ნაწილს უზრუნველყოფს. თუ ექსპორტიორი კარტელი მხოლოდ ბაზარზე ნაწილობა, მაშინ, ფასების ზღვა მოქმედებს როგორც გადასახადი დანარჩენი მხოლოდოსათვის. შესაბამისად, მთელი მხოლოდიდან ხდება ფულის შემოდინება კარტელში. რა თქმა უნდა, ეს კარგია კარტელის მონაწილეობისათვის, მაგრამ ამ ვარაუდებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კარტელის ქვეყნის ეკონომიკაზე. ამასთან, კარტელის მონაწილეების შეუძლიათ გააფართოონ თავიანთი შეთანხმებები ისე, რომ მოიცვან გაუდევრი ქვეყნის ზონითაც. ინფორმაცია საექსპორტო გაყიდვების შესახებ, რასაც ისინი ერთობლივად ფლობენ, შეიძლება დაეხმაროს მათ შეთანხმების წესშეცვლაში ქვეყნის შიგნით. ამასთან, არაა გამორიცხული რომ შიდა ბაზარზე შესვლის პოტენციალის მქონე ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც არ არიან ექსპორტიორი კარტელის მონაწილეები შეიძლება ამ პირობებზე საშუალება მაღალსონ რეპეტიანობის აუცილებელ მინიმალურ დონეს მხოლოდ შიდა ბაზარზე განხორციელებული გაყიდვების შედეგად, რის გამოც ისინი საერთოდ ვერ შეუძენ ბაზარზე.

ცალკე აღნიშნავს საჭიროებს საკითხი ერთობლივი საწარმოების შესახებ, რომლებიც მყოფებიან პოროზონტალურ შეთანხმებებსა და საწარმოების სრულ შერწყმას შორის ინტერვალში. ერთობლივ საწარმოებს შეუძლიათ ერთის მხრე შეხლდნ კონკურენცია, ხოლო მეორე მხრე ხელი შეუწონ მის განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორცაა ბუნებრივი რესურსების ფართომასშტაბიანი სიბა და ექსპლუატაცია, ფართომასშტაბიანი სინქრონი და სამწებდლო პროექტები, მყიდველთა გაერთიანებების შექმნა ტვირთ და საშუალო ფირმების მიერ, აგრეთვე სამკინორო-ტექნიკური კვლევები და დამუშავებები. ამ საწარმოების ანტიკონკურენციული ზემოქმედება შეიძლება წარმოადგინდეს ინფორმაციის გაცემის პროცედურების გამარტივებისა და ანტიკონკურენციული შეთანხმებების შედეგს.

ერთობლივი საწარმოების ანტიკონკურენციული ზემოქმედების მაგალითებს წარმოადგენს:

- ✓ კონკურენციის დიკვირაცია ან შემცირება ერთობლივი საწარმოს პარტნიორებს შორის;
- ✓ კონკურენციის შემცირება ერთობლივი საწარმოს პარტნიორის მხრიდან. ანუ როდესაც პარტნიორი მოქმედებს დამოუკიდებლად,


ერთობლივი საწარმოს ინტერესების მიხედვით:

- ✓ ბაზრის ანტიკონკურენციული დამხრე, როდესაც ვერტიკალური ერთიერთობები ერთობლივ საწარმოსა და პარტნიორებს შორის, აუცილებელი ნდელულისა და ნახევარფაბრიკატების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებს უსაბაზო პოტენციურ კონკურენცებს.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ზოგჯერ იქმნება ერთობლივი საწარმოები, სადაც ადგილობრივი პარტნიორი იღივს ხის მონობლივის წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ადგილობრივი პარტნიორი წარმატებით მოქმედებს ტექნოლოგიების გადაცემის სფეროში. როგორც წესი, უცხოელი პარტნიორის წარმატების საწინააღმდეგე უშირატესობა სხვა უცხოელ მტოქმეობთან შედარებით, ადგილობრივ ბაზარზე თუმა, თუ ადგილობრივი პარტნიორი დიდი ხნის მონობლივისტია, ასეთმა ერთობლივმა საწარმომ, შეიძლება მომავალში შეამციროს კონკურენცია ადგილობრივ ბაზარზე.

პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც არსებობს უცხოელი მეწარმეების შეხლდული რაოდენობა, ადგილობრივი პარტნიორი აწარმოებს რამდენიმე სახეობის პროდუქტს და მონობლივისტია თითოეული მათგანის ბაზარზე. ხოლო ზოგიერთი ბაზარი – არ არის ბუნებრივი მონობლივის სფერო. ამ შემთხვევაში, ადგილობრივ პარტნიორს შეუძლია შეამციროს კონკურენცია თითოეულ ბაზარზე ერთობლივი საწარმოების ჯაჭვის შექმნის გზით. მაგალითად, დავუშვათ, რომ არსებობს ექვსი მულტინაციონალური სატელეკომუნიკაციო საწარმო, რომლებიც მრავალი დასახელების საკონკულს უწყობენ, და ექვსი სხვადასხვა სასაკონლო ბაზარი, რომლებზეც მხოლოდებს ახორციელებს ადგილობრივი საწარმო. დავუშვათ, რომ ეს ადგილობრივი საწარმო ქმნის ექვს ერთობლივ საწარმოს, თითოეული მათგანი აწოდებს ბაზარს სხვადასხვა საკონკულს და თითოეულ მათგანს პყავს სხვადასხვა უცხოელი პარტნიორები. ასეა განვიხილოთ, თუ რა სტიმული ექნება უცხოელ პარტნიორს. იგი დებულბს შემოსაგაღს ერთობლივი საწარმიდან, ერთ ბაზარზე გაყიდვებით. უცხოურ საწარმოს შეუძლია განიხილოს მეორე ბაზარზე შესვლის შესაძლებლობა, რომელიც კონკურენციას უწყევს ადგილობრივ პარტნიორს. მაგრამ, მისი დამოუკიდებელი ერთობლივი საწარმიდან, შეიძლება დამოკიდებული იყოს ადგილობრივი პარტნიორის მიდიან შემოსაგდებზე. თუ ასეა, მაშინ უცხოელი

საქონლის მფლობელი



პარტნიორის სტიმული, რომ შევიდეს მეორე ბაზარზე, შემცირდება შედეგად, თითოეულ ბაზარზე შემცირდება კონკურენცია ერთობლივი ხაწარმოების ფაქტის არსებობის გამო (კონკურენციის შემცირების ანალოგიური ფორმა წარმოიშობა მაშინ, თუ ერთიერთდაკავშირებული ერთობლივი ხაწარმოების მოიცავენ სხვადასხვა ტერიტორიებს, და არა სხვადასხვა სახაწონდო ბაზრებს).

მეორე პრობლემა იქმნება მაშინ, თუ ერთობლივი ხაწარმოს შექმნის შესახებ შეთანხმება **კეცავს ბაზარს სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის. ერთობლივი ხაწარმოს შესახებ შეთანხმების შეუძლია მისცეს უცხოელ პარტნიორს აუცილებელი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების მიღების ექსკლუზიური უფლება სხვა საქონლის მისაწოდებლად. ასეთ შემთხვევაში, ფაქტის კეცვა დონეზე არსებული ბაზარი 'დაიხურება' ახალი სუბიექტებისათვის. შესაბამისად, ისინი ვერ შეედენ ასეთ ბაზარზე, ან შეედენ ძალიან დიდი დანახარჯებით, რის გამოც ამ ბაზარზე კონკურენცია შემცირდება.**

მესამე პრობლემა თავს იჩენს ერთი საკანონმდებლო/ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე არასრულად გადასვლის დროს. დაეუშვათ, რომ ბაზარზე არსებობს ადგილობრივი არა ბუნებრივი მონოპოლია. ასეთ შემთხვევაში, უნდა ვიფარაულოთ, რომ ამ ბაზარზე კონკურენცია განვითარდება, მაგრამ, თუ ადგილობრივ პარტნიორს შეუძლია მიიღოს ამ ბაზარზე მიწოდების გრძელვადიანი ექსკლუზიური უფლება, მაშინ მყოფევი იძულებით აღმოჩნდება მონოპოლისტის პოზისში. მეორეს მხრივ, ექსკლუზიური უფლებების ზოგიერთი სახეობა შეიძლება აუცილებელი იყოს, რათა ადგილობრივ ბაზარზე ინვესტიციების სტიმული შეუქმნას უცხოელ პარტნიორს.

ეკონომიკაში, სადაც მრავალი მონოპოლია და მონოპოლიური ბაზრები არსებობს, საქართველოს ერთობლივი ხაწარმოები შეიძლება კონკურენციის

სწრაფად განვითარების მექანიზმი გახდეს. ისინი ქმნიან ნიადაგს ინტელექტუალური საკუთრების, საქონლისა და მომსახურებების უცვლელად მიწვევებს შორის. მეორეს მხრივ, ერთობლივი ხაწარმოების შესახებ შეთანხმებების ზოგიერთი პირობა შეიძლება შედა ბაზრის მონოპოლიზაცია გამოიწვიოს.

სასარგებლოა არსებობდეს მარტივი წესები, რომელიც დაგვეხმარება განვსაზღვროთ, თუ რა გარემოებები (ფაქტორები) უწყობენ სუფს ანტიკონკურენციულ შეთანხმებებს. მის აქვს გარკვეული პრაქტიკული ღირებულება და შესაბამისად შეხატლებელია მსჯელობა შეთანხმებების ანტიკონკურენციულობაზე ისეთი პარამეტრების ანალიზით, როგორცაა:

- კონკურენტების რაოდენობა;
- შესვლის ბარიერი;
- საქონლის ერთგეაროვნება ანუ „სტანდარტიზაცია“;
- მიდევლეების რაოდენობა;
- დათმობების ხერხები;
- ანალოგების პირიციპი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პორტიონტალურმა შეთანხმებებმა, შეიძლება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს კონკურენციაზე. არსებობს შეთანხმებების ისეთი ფაგუფები, რომლებიც ანტიკონკურენციულია თითქმის ყველა შემთხვევაში. ისინი მოიცავენ კონკურენტების შეთანხმებებს - ფასების, ბაზრების დანაწილების, ბაზრებიდან სხვა ეკონომიკური აგენტების განდევნის, კონკრეტულ მეწარმე სუბიექტებთან კონტრაქტების გაფორმებაზე უარის შესახებ. სხვა შეთანხმებების შემოქმედებები ფასდება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. ამასთან, ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული შეთანხმებების შესაძლო ზემოქმედებები ეკონომიკური აგენტების კონკურენციულ შესაძლებლობებზე.

ბაზრეყინაზული ღირებულება:

1. გოგიაშვილი შ. 2009. კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში. თბილისი: საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“.
2. გოგიაშვილი შ., ფეტქვალია ს. 2007. კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (დეკტიების კურსი). თბილისი: გამომცემლობა „ლიონ“.
3. ფეტქვალია ს. 2007. კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა „ლიონ“.
4. ფეტქვალია ს., გოგიაშვილი შ. 2012. ეკონომიკური კონკურენცია (ბაზრის კონკურენციულობის ანალიზის მეთოდური საკუთრების). თბილისი: გამომცემლობა „ლიონ“.
5. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასადა, თბილისი, გ. ზანტურაის ქ. 12.

საბაზო პარტნიორები



თამაზ კვანტრავა
საქართველოს სოფლის
მეურნეობის აკადემიის წევრი



კაკაბა კოლუაშვილი
საქართველოს სოფლის
მეურნეობის აკადემიის წევრი

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი ძეგა გლუხკაცის მოფრთხილება და საზოგადოების გამოსაკებად მისი შრომის სტიმულირება (მიწასთან მარადიული ურთიერთობა), ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფა, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება.

სოფლის მეურნეობისადმი დიდი ყურადღება თანამედროვე მსოფლიოში ორი ძირითადი მოსაზრებითაა განპირობებული:

- სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა. მსოფლიო მოსახლეობაში საშუალო ფენის მკვეერი ზრდა იწვევს საკვებზე მოთხოვნასა და, შესაბამისად, მასზე ფასების გაზრდის უზრუნველყოფის რისკს. ამიტომ სასურსათო უზრუნველყოფის სტრატეგიულ გათვლაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს დაიკავებს

- სასოფლო-სამეურნეო წარმოება ერთიანი ინტეგრირებისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია. კულტურულად, სოფელი და ღონიერი გლუხკაცის წყნე ურის თვითმყოფადობის (ეკონომიკისა და რეაობის) შენარჩუნების ერთ-ერთი მსაღერ იარაღია

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობის მდგრად და კავშირებული სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის (სოფლის სტატუსი, რეალური თვითმართველობა, ინტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა) განვითარების საჭიროება. ამიტომ ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად დახვედრითი მოქმედება სოფლის განვითარების პოლიტიკა. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის

სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის მეურნეობა განვითარების კონცეფციებისა და სტრატეგიების ნაკლებობის ნაშედეგად არ განიცდის. მათ შორისაა 1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული კონცეფცია, შემდგომ წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის მცენიერებათა აკადემიისა და საქართველოს ეროვნულ მცენიერებათა აკადემიის მიერ შემუშავებული და მოწინაველი დოკუმენტები. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის განვითარებას საფუძვლად არც ერთი მათგანი არ დაედო, როგორც ამბობენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისადმი მათი შეუსაბამობის გამო.

სამაგიეროდ აღნიშნული ნაკლი სრულადაა გამოსწორებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ახლად შემუშავებულ "საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში: 2012-2022", რომელშიც ნათქვამია, რომ „მოაგრობა ამბობს რა შეტყუვლად უარს სახელმწიფო სუბსიდიებზე, მიხნად ისახავს სოფლის მეურნეობის გრძელვადიან განვითარებას ინვესტიციების მოზიდვის გზით. ამგვარი პოლიტიკის მიზანია არის ის, რომ ბაზარმა თავად გამოკეთოს ის სექტორები, რომლებიც არიან კონკურენტუნარიანები და მათ გააწნაით განვითარების პოტენციალი“. (გვ.10)

ეს არის ჯერ კიდევ 1994 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ შემოთავაზებული



მონიტარული მიმართულების ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც ერთ სიბრტყეში განიხილავს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგს, მათ შორის სოფლის მეურნეობას, რომელსაც სხვა დარგებისგან განსხვავებით მრავალი ეკონომიკური თავისებურება და წარმოების ციკლურობა ახასიათებს და რის გამოც მას არ შეუძლია იყოს კონკურენტუნარიანი არა თუ ყველა, არამედ აგრესიულად სექტორის სხვა დარგების მიმართაც კი. იგი ფინანსური თვალსაზრისით არათეიკშიარ დარგია, რის გამოც საჭიროებს მძლავრ სახელმწიფო მხარდაჭერასა და სუბსიდირებას.

მსოფლიოში იშვიათია სახელმწიფო, მათ შორის ყველაზე ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის მქონე, სადაც სოფლის მეურნეობის დახმარებისა და სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს – აღინისტრაციულს, სამართლებრივს, პირდაპირს თუ არაპირდაპირს არ იყენებდნენ. აღნიშნული პრაქტიკიდან გამონაკლისია საქართველო, რითაც მას მსოფლიოში მართლაც პირველი ადგილი უჭირავს.

ბოლო წლებში, სახელმწიფო დახმარებისა და რეგულირების მეთოდების გაძლიერება, მნიშვნელოვანწილად სოფლის მეურნეობის წინაშე გაჩენილი ახალი გამოწვევებითაა განპირობებულიც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროგნოზით 2040-2050 წლებსათვის მსოფლიოში მოსალოდნელია სურსათის მწვავე დეფიციტი, რაც გამოიწვევს მოშიშშილე ადამიანების რიცხვის ზრდას; იგივე გაეროსა და მსოფლიო ბანკის (მს) მონაცემებით დედამიწაზე დამთავრდა იაფი საკვების წარმოების ხანა. დასახელებულ გამოწვევებს თავისი მიზნუბი აქვს, რასაც სახელმწიფოები შესაბამისი პრევენციული ზომებით პასუხობენ როცა როცა – სტრუქტურული მუშაობის გაძლიერება მცენარეთა გავლენაგამძლე ჯიშების გამოსაყვანად, მალადმწარმოებლური ენერგოდამოკავი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნა, სარწყავი წყლის ეკონომიკური გამოყენება, ხასნავი მიწების გაზრდა დაბალი კატეგორიის სავარგულეების ტრანსფორმაციის გზით. მიწების შესყიდვა სხვა სახელმწიფოებში (ნაცნობი სურათია). ქვეყნის მოსახლეობის სურსათით თვითურუნეფლყოფის კურსის გაძლიერება, საკვები პროდუქტებით თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის გადახედვა, სასურსათო პროდუქტებზე ფასების რეგულირების მექანიზმების შემოღება და მრავალი

სხვა. ყველაფერი ეს საკუთარ მომხმარებელზე ზრუნვითაა განპირობებული. აშშ-ის ფერმერის შემოსავლებში თითქმის 85 პროცენტი ფასის ოპტიმალური დონის შენარჩუნებისათვის გაწეულ ხარჯებზე მოდის. 2005-2010 წლებში ევროკავშირის ქვეყნები აგრარული სექტორის მხარდასაჭერად ყოველწლიურად გამოყოფდნენ - 100-130 მილიარდ აშშ დოლარს, ანუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო ღირებულების 45 პროცენტს იაპონიამ სოფლის მეურნეობისადმი დახმარება დარგის შიდა პროდუქტის (მშპ) -78, ნორვეგიამ-მ, აშშ-მ-25, ევროკავშირმა - 39 პროცენტზე გაზარდეს. იაპონიამ სოფლის მეურნეობაში გაცივმულ კრედიტებზე პროცენტი ნულამდე, ხოლო აშშ-მ - 2,5-მდე დაწია. სახელმწიფო დახმარება ერთ პექტორ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე განაგრძობს ევროკავშირის ქვეყნებში შეადგინდა 843, აშშ-ში - 155, კანადაში - 79, იაპონიაში-9529, ნორვეგიამ-2882 აშშ დოლარს. მაგალითები იმეტომ არ მოგივტანია, რომ მეტეც ახე უნდა მოვიტყუთ, აქ მოთავარი ტენდენციის, აგრარული პოლიტიკის გაზარტება და მისი გაკეთება საერთო, რისი შესაძლებლობაც სახელმწიფოს აქვს.

განვიღოთ ოცი წლის მახისზე, თავისუფალი ბაზრის პირობებში თუ რა ცვლილებები მოსდა სოფლის მეურნეობაში ნათლად ჩანს შემდეგი შედარებიდან. გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევართან შედარებით საქართველოში ნათესი ფართობები და მრავალწლოვანი ნარგავი საამჯერ შემცირდა. ყოველწლიურად დაეშუშებულა რჩება საკუთრებაში გადაცემულ მიწების 55-60%. ამავე პერიოდში ხორბლის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში შემცირდა 3-ჯერ, ბოსტნეულის 2,5-ჯერ, ჩიის მწეც ფოთლის 11-ჯერ. კვების ტენდენციით ხასიათდება პირუტყვის წარმოება და ხორციის წარმოება. საკუთარი წარმოების ხობდით მოსახლეობის თეთო ზრუნეველყოფის კოეფიციენტი - 8, კარტოფილით-86, ბოსტნეულით - 76 პროცენტამდე შემცირდა, მაშინ როცა ბოლო ორ პროდუქტსე ყოველთვის 100 პროცენტს აღემატებოდა. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება მხოლოდ საქართველოსა და ყირგიზეთში შემცირდა. წარმოების ზრდის ინდექსით საქართველო მსოფლიოს 194 ქვეყნას შორის 129 ადგილზეა.

აღსანიშნავია რომ შესაღარ წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სხვა მანუენებლები დინამიკურად მცირდებოდა. ხოლო 2006 წლიდან აშკარად გამოხატული დაღმავალი ტენდენცია შეიძინა, რაც, ჩვენი აზრით, სავაგის

ახალი ბორნისტი

ვაჭარებისა და სურსათის იმპორტიორი მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების გამოყენების გამო მოხდა. სასურსათო პროდუქტების იმპორტი ყოველწლიურად 750-950 მილიონ აშშ დოლარს შორის მერყეობს. ექსპორტი-იმპორტის შევარდნა დეფორმირებულია 1:3.5-თან. საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებულ სურსათში თითქმის 80 პროცენტი იმპორტირებულია. ბოლო წლებში მონაცემებით, იმპორტირებული კარტოფილის, პომიდორის, კიტრის, ხაჭაპურის, ნორისა და სხვა მისთანა პროდუქტების ღირებულებამ 25-30 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. თამბაქოს პროდუქციის იმპორტი 75-80 მილიონ აშშ-ს ტოლია, ხაშინ როცა თამბაქოს წარმოება საქართველოში პრაქტიკულად შეწყვეტილია. საქართველოს ყველა შესაძლებლობა გააჩნია პრაგმატული აგრარული პოლიტიკის პირობებში სურსათის იმპორტი 450-500 მილიონ აშშ დოლარით შეამციროს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავისუფალი ბაზარი საქართველოს სოფლის მეურნეობას ვერ დააღვრებს თუნდაც მისი მრავალდარგოვნობის გამო. ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველო, ეფრტიკალური ზონალობისა და ნიადაგურ-კლიმატური მრავალფეროვნების გამო, სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონა და 3 ქვეზონა გამოყოფილია. საქართველო არ არის არც ვახახო და არც თურქმენეთი, სადაც სოფლის მეურნეობა რამდენიმე დარგითაა წარმოდგენილი, რომლებიც შესაძლოა დროთა განმავლობაში, საბაზრო მექანიზმების უმოქმედებას დაექვემდებარონ. საქართველოს სინამდვილეში ასევე გასათვალისწინებელია სოფლის მეურნეობის მრავალფეროვანი კულტურების მაღალი ხედილობითი წონა, რომლის რესტრუქტურისებაც განვითარებულ ქვეყნებშიც კი ხერხისულ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული. გაყურადღებოა ისიც, რომ ხეჩნ მოსახლეობას არ გააჩნია საბაზრო ვარგისობა, არა თუ მთლიანი საწარმოო ჯაჭვის, არამედ მისი ცალკეული პროცესის დამოუკიდებლად მართვის გამოცდილება. თავისუფალი ეკონომიკის პირობებში, ადგილობრივი ქმედებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და რესურსები (ადამიანური, ფინანსური, ინტელექტუალური, ტექნიკური და სხვა) შეწარმის დაკარგული აქვს ბაზრის მოთხოვნებს რეაგირების უნარი, რომლის უამრავი მაგალითი არსებობს. არ უნდა დავკავიწმუდგავ სოფლის მეწარმის მენტალიტეტს, რომელიც უპირატესად სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული. და რასაც წინაზე უკეთ უცხოელები ითვლისწინებენ, როცა ბიზნესის დაწყებასვე პრეზიდენტთან ან

ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნებთან შეხვედრას ცდილობენ.

სტრატეგიაში ნათქვამია, რომ მთავრობა ხელახერვდ პირობების შექმნის ინვესტიციების შემოღინებისათვის და ამახ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ვერ გავარკვიოთ რა არის ინვესტიცია. მიწის ან სხვა უძრავი ქონების გაყიდვის ხანაცვლოდ მიღებული ფული, რომელიც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში აისახება და შემდეგ ხელფასების გაცემას ან სხვა სოციალური საკითხების მოგვარებას სმარდება, სახელმწიფომოხელეების შეხედულებისგან განსხვავებოთ, ინვესტიცია არ არის. ინვესტიცია წარმოების გაფართოებას, ახლის შექმნელობას, რეკონსტრუქციას, ინოვაციური პროექტების განხორციელებას ან სხვა მისთანა საქმიანობას უნდა სმარდებოდეს.

გასათვალისწინებელია, რომ ინვესტიციები, კრედიტებისა და სადაზღვევო საქმიანობის მსგავსად გაურობის სოფლის მეურნეობას, მოი უფრო თუ იგი უცხოური წარმოშობისაა. ყველაზე კარგ შემთხვევაში სოფლის მეურნეობაზე კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტებს საერთო რაოდენობის მხოლოდ 1.5-2 პროცენტი მოდის. სოლო ინვესტიციების შემოღინების მიხედვით, იგი ბოლო ადგილზეა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვიდრე საქართველოს ორი უმინშენელოვანესი რეკონი ოკუპირებულია და დამყრობლის მიმართ შედეგიად აგრესიული რიტორიკა იმის, უცხოური ინვესტიციების შემოღინება ყოველთვის პრობლემური იქნება. სოფლის მეურნეობა არ არის ცხელი ფულის სვეტინტი სადაც მიდებული საფინანსო რესურსები მოკლე დროში იძლევა უკუგებას. სამსრეთ აფრიკიდან ბურგების გადმოსახლება საჩვენებელ მაგალითად ვერ გამოდგება, რადგან მათ იმდენად დიდი პრობლემები აქვთ, რომ უფრო რისკის გაწევა. თანაც თუ მხოლოდ უცხოური ინვესტიციების წახალისება მოხდება, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ალბათ, გვექნება სოფლის მეურნეობა, მაგრამ არ გვეყოლება ქართველი მეწარმე, რაც კონსომოლიტ-დემბრადებს ნაკლებად აადლეკებო.

სტრატეგია ნათელ ვახუხს არ იძლევა თუ რა უნდა ვაკეთდეს აგრარული მეცნიერების შენარუნებისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის, მდადეკადიფიციური სამეცნიერო კადრებისა და სპეციალისტების მომზადებისათვის. სასწავლო უმაღლეს სასწავლებლებთან კვლევითი საქმიანობის

ანალიზის მიზნით



მერქმის, როგორც ადამიანური, ისე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის თვალსაზრისით მრავალი წელი დასჭირდება, რაც სერიოზული დანაკარგების გარეშე არ წაივლის. ასეთ სიტუაციაში სტრატეგიაში სოფლის მეურნეობის შეცნობრებათა აკადემიის სხვათაშორის მოხსენიება და უროვნული აკადემიის ოგნორირება, არ გვეთხის მართებული იყოს. გაორბულ შობებუდობის ტოვებს სტრატეგიის ავტორების დამოკიდებულენა სტანდარტიზაციისა და სერთიფიცირების მიმართ, რომელთა უმრავლესობა გაუქმებულია ბიზნესგარეშის გაუმჯობესების სიტყვით. აღმინდა, რომ რაც უფრო რთულდება წარმოებისა და მომსახურების სფეროები, რაც უფრო მეტი კომპონენტი მონაწილეობს პროდუქციის შექმნაში, მით უფრო მკაცრდება მოთხოვნები სტანდარტებისა და საქმიანობის სერთიფიცირებისადმი. აღნიშნული ტენდენციის ნათელი მაგალითია ევროკავშირის მოთხოვნა GSP პროგრამის ფარგლებში დრმა და კუვიდისმომცველ ვაჭრობის შესახებ მოდლაპარკების დაწების თაობაზე, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს მისაწოდებელი პროდუქციის გაბზვრებას, თუმცა მაღალი ფასები ევროკავშირისათვის გასაკვირი არ იქნება იგი მსმრად ფასებს საკუთარი ბაზრის დასაცავად იყენებს. სტრატეგიის ავტორები, ერთის მხრივ აღიარებენ, რომ მაღალი სტანდარტებისა და სარწმუნო სერთიფიკაციების უქონლობა აფერხებს მრავალი სახის პროდუქციის ექსპორტს, მეორეს მხრივ ვერ ელვებიან აღნიშნული საქმიანობის ნებაყოფლობითობის პრინციპებს, რაც პროდუქციის მიმდები სახელმწიფოსთვის გაუნებარი და მიუღებელია.

ხელმეტი ვგვიჩვენება მიწის ბანკის შექმნის, მედიორირებული მიწების ელექტრონული პროგრამების დეტალური აღწერა. იგი სტრატეგიის გვერდების შეგვების მკდელობის უფრო ჰგავს, ვიდრე პრობლემის გარშემო საქმიან მსჯელობას. სტრატეგიაში არაფერია ნათქვამი სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის შესახებ. სამაგუროდ ვურადლება განახილვებელია ქვეყნის მიეროკონომიკურ და სხვა მმართველებზე, რასაც რეალურ ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობასთან უმნიშვნელო შეხება აქვს. სტრატეგიის მიმართ ვგაქვს სხვა შენიშვნებიც, მაგრამ ამჯერად ამით დაეკმაყოფილდებით. ხეითთაღნიშნული არ ნიშნავს, რომ სტრატეგიაში არ არის საუბარი სოფლის მეურნეობისათვის უმნიშვნელოფანეს საკითხებზე. პირიქით, მივესალმებით სოფლის მეურნეობის

ფონდის შექმნის, ტექნიკის სამნიქმინ შექმნის ხად გუვრებში განთავსებას მსჯელობის კონსულტირება - დანერგვის (ექსტენცია), სოფლად კოლბორირების, დიზინფის, სახეეებელი მანდერების მოწყობისა და სხვა პრობლემების გადაწყვეტის გზების დასახები. ხეერთვის მიუღებელია თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში საქართველოწინა ნამორჩენელი სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ რომელიმე ეკონომიკურ თვორიაზე მიბმის მკდელობა. ეს იმდენად ეწინააღმდეგება თანამედროვე სოფლის პრაქტიკას, რომ მისდამ ვიუტად ერთგულდება შეეცაბებული უნდა იქნეს როგორც ეკონომიკური ფუნდამენტალიზმის კლასიკური გამოვლინება და მეტი არაფერი. ეს გზა და მისზე დაყრდნობილი სტრატეგია შედეგ ვერ გამოიღებს.

დასასრულად, იმისათვის, რომ თავისუფალი ბაზარმა შექმნას ის, რასაც ხელმეწიფეთა კარგი ასრულება - პროდუქციის სოხვე - აუცილებელია სახელმწიფოს მხრივ აქტიური პოლიტიკის განხორციელება აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. იგი პირველყოვლისა გამოიხატება სპეციალიზირებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნით, რაც კრედიტს ხელმისაწვდომს გახდის და უზრუნველყოფს მოსივლის დასუყევის სისტემის ნამოსადაცებას. ინფრასტრუქტურის აუცილებელი ნაწილი უნდა გახდეს აგროტექნიკის, ქიმიური საშუალებების, საწვავის და ა.შ. უზრუნველყოფის ორგანიზება, უნდა წახალისდეს ეროგაგროფანი პროდუქციის სფეროში კომპერტების გამოყენება, მარკეტინგული დახმარება და, ასევე, ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად უნდა იქცეს სასოფლო რაინესში აგროტექნიკუმების ფართო ქსელის გამოშვრება, რომელიც შეძლებს ფერმერების პრაქტიკული ცოდნითა და შეყეებით აღჭურვას და გამოყრბებით მათი გადასხადების გარეშის შექმნას.

დაბოლოს, საუკეთესო იქნება საქართველოს მთავრობამ შექმნას აგრორული პოლიტიკის ეროვნული საბჭო, რომელიც შეეცაბება სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის სტრატეგიათ, სოფლის განვითარების პოლიტიკის, განახლებადი დარგობრივ პრიორიტეტების, კლდეების, სოციალური და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებისთვის ხელ შეშვებო პოლიტიკას, განხილავს სხვა პრობლემურ საკითხებს, მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს

ახალი მსოფიოსბობა



ნანა კავთაძე

სდასუ-ს ასოცირებული პროფესორი;
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

